საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**15**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**75**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - თამარ ალფაიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - თამარ ალფაიძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: **თამარ ალფაიძე**

ასაკი: **42 წლის**

დაბადების თარიღი: **12 მაისი, 1979 წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი; სამართლის დოქტორი;**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **20 წელი, 7 თვე**

სამუშაო ადგილი: **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; პროფესორი.**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ ალფაიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელით - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობის თაობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებას, პროფესიულ სინდისს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, გაწონასწორებულობას, მაღალ რეპუტაციას, კომპეტენტურობას, შრომისმოყვარეობას, თავისუფალი აზროვნების სტილს, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულებას, სამართლიანობას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.
- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, ძირითადად, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

თამარ ალფაიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი („სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ისა"; 5 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად); ასკ-ის 118-ე მუხლის მეორე ნაწილი („იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად გადაცემა/საექსპლუატაციოდ გადაცემა/საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება"; 7 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად) ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან საგზაო მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას"; 3 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად); ასკ-ის 125² მუხლის მე-6 ნაწილი („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი, სატრანსპორტო საშუალების პარკირების სხვა წესის დარღვევა"; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილი („მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა", „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია") ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია", „მოძრაობა აკრძალულია") ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა"; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია

დროულად); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა“; 4 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად); ასკ-ის 125[2] მუხლის პირველი ნაწილი („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილზე სატრანსპორტო საშუალების პარკირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომა“; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად); ასკ-ის 118[2] მუხლი („მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა“; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად).

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ინფორმაციის თანახმად, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის თ. ალფაიძეს სეუ-მ განუსაზღვრა სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა:
1. რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარუდგენლობის გამო;
2. რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება;
3. რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო;
4. რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო უარყოფითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> – გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

სხვა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც კანდიდატის ზემოაღნიშნულ უნარებს დააყენებს ეჭვქვეშ, წარმოდგენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით:
თამარ ალფაიძის მიმართ, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოიპოვება.

- სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში: დავის საგანი თანხის გადახდის დაკისრება. შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ ალფაიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
4. *პროფესიული თვისებები;*
5. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
6. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალზების შედეგად მივიჩნევ, რომ მან თავი ვერ წარმოაჩინა სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელში. კერძოდ, გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა ვერ იმსჯელა, როგორ და რა ფორმით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულაციები, კანდიდატი მიიჩნევს, რომ უფლებაში ჩარევა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დასაშვებია, თუ საკანონმდებლო ნორმა არის ხარვეზიანი. კანდიდატი ვერ პასუხობს, რა შემთხვევაშია აბსოლუტური უფლებიდან უკან დახევა შესაძლებელი და ზოგადად, არსებობს თუ არა ამის დაშვების შესაძლებლობა. ზედაპირული და არასიღრმისეული იყო კანდიდატის პასუხი ქალთა კვოტირების საკითხთან დაკავშირებით. მხოლოდ ნაწილობრივ იყო სწორი კანდიდატის პასუხი კითხვაზე, რა ელემენტებს მოიაზრებს სამართლებრივი სახელმწიფო, სოციალური სახელმწიფო. მივიჩნევ, რომ კანდიდატი არ იცნობს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონს, რამეთუ ვერ ხედავს ტერმინოლოგიურ განსხვავებას სახელმწიფო მოსამსახურესა და პროფესიულ საჯარო მოხელეს შორის. კანდიდატმა ვერ ისაუბრა საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპზე. არასწორი იყო კანდიდატის პასუხი, რა საკითხებთან დაკავშირებით გამოირიცხება რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა. მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გაცემული პასუხი სამართლიანი სასამართლოს არსსა და პრინციპებზე. „ბავშვის უფლებათა კოდექსის" სიახლეებსა და ნოვაციებზე კანდიდატის პასუხი არ იყო სრულყოფილი. კანდიდატმა ვერ იმსჯელა

კორპორატიული სამართლის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა (გამჭოლი პასუხისმგებლობა), არასწორი და ბუნდოვანი იყო კანდიდატის პასუხი ადმინისტრაციული პროცესიდან დასმულ შეკითხვაზე (შეგებებული სარჩელის დაშვების შესაძლებლობა). ასევე ბუნდოვანი იყო პასუხი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან, რომელიც უკავშირდებოდა ბრალდებულის სასამართლოში პირველადი წარდგენისას სხდომაზე სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის შესაძლებლობის საკითხს.

სასამართლო პრაქტიკის ირგვლივ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, კანდიდატმა გასცა ზოგადი პასუხი, განმარტა, რომ პრაქტიკას ეცნობა მუდმივ რეჟიმში, თუმცა, საგულისხმოა, რომ დასახელებული ვერ იქნა ვერცერთი საქმე, რაც არ მაძლევს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ კანდიდატი რეალურად იცნობს სასამართლო პრაქტიკას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია იურიდიულ სფეროში მუშაობის 21 წლიანი გამოცდილება.
ზეპირი გასაუბრების პროცესში კანდიდატმა დასაბუთების მაღალი უნარი ვერ გამოავლინა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

გავეცანი კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ ნაშრომებს, თემაზე: „ჰუმანური სამართალი; სამართლის ჰუმანური პრინციპები"; „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება"; „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება".

გასაუბრების ეტაპზე პასუხის დასაბუთების დროს, ხშირ შემთხვევაში კანდიდატის პასუხები იყო წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **17 ქულით.**

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომები მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **13 ქულით.**

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატი არის სამართლის დოქტორი, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
კანდიდატის აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - "სამართალმცოდნეობის შესავალი" წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად;

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **10 ქულით.**

6. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

კანდიდატი არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.
აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **5 ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 75 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.